მოგესალმებით. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. N9. (საკადასტრო კოდი: 01.17.13.056.062) ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიწის ნაკვეთის არსებული ფუნქციური ზონაა სსზ-2 (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2) სადაც ფიქსირებული კოეფიციენტებია კ1 0.7, კ2 4.6 და კ3 0.1. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე 15.07.2013 წელს შეთანხმდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა (გადაწყვეტილება N773132), სადაც ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგინდა შემდეგი ქალაქგეგმარებითი პარამტრები: **კ1 0.7, კ2 8.0 და კ3 0.1**.

საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 26 ივნისის N25 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=8,0–ით.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის N7-41 გადაწყვეტილების თანახმად მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$X=L/k2*(k2^{"}-(k2^{2}+K2_{20\%})*S$$

X - მოსაკრებლის რაოდენობა

L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი

K2 - დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი


k2" - მინიჭებული განაშენიანების ინსტენსივობის კოეფიციენტი

K2$_{20\%}$ - კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

S - მიწის ნაკვეთის ფართობი

$$X=34/4.6*(8.0-(4.6+4.6_{20\%})*4980$$

X=91 286 (ლარი)



მოსაკრებლის თანხის გადახდა მოხდება მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში. (იხ. გადახდის გრაფიკი)

გადახდის გრაფიკი:

გადახდის თარიღი	გადასახდელი თანხა
1 თვე	7607,2 ლ
2 თვე	7607,2 ლ
3 თვე	7607,2 ლ
4 თვე	7607,2 ლ
5 თვე	7607,2 ლ
6 თვე	7607,2 ლ
7 თვე	7607,2 ლ
8 თვე	7607,2 ლ
9 თვე	7607,2 ლ
10 თვე	7607,2 ლ
11 თვე	7607,2 ლ
12 თვე	7607,2 ლ
ჯამი	91 286,4 ლ